



შეფასება ...../15 ქულა

სახელი, გვარი .....

## IX კლასი

*NN 1-5 დავალეებში შემოხაზე სწორი პასუხი:*

1. თუ საქონლის ფასი ორჯერ 10-10 პროცენტით გაიზარდა, მაშინ თავდაპირველ ფასთან შედარებით საბოლოო ფასი გაიზარდა: **1 ქულა**  
ა) 10%-ით      ბ) 12,5%-ით      გ) 20%-ით      დ) 21%-ით
2. რიცხვითი მონაცემების 2; 5; 3; 3; x; 4; 1; 5; 17 მოლა არის 5. ამ მონაცემთა საშუალოა: **1 ქულა**  
ა) 4      ბ) 4,5      გ) 4,7      დ) 5
3. ქეთის აქვს 3 ბარათი, ყოველ მათგანზე თითო ციფრია ჩანერილი 2, 3 ან 4. ქეთიმ შემთხვევით, მიუხედავად ეს ბარათები ერთმანეთს. იპოვეთ ალბათობა იმისა, რომ მიღებული სამნიშნა რიცხვი გაიყოფა 18-ზე. **1 ქულა**  
ა) 0      ბ) 1      გ) 1/6      დ) 2/3
4. ტოლფერდა სამკუთხედის ერთ-ერთი გარე კუთხე  $70^\circ$ -ია. იპოვეთ ამ სამკუთხედის ფუძესთან მდებარე კუთხის გრადუსული ზომა. **1 ქულა**  
ა)  $110^\circ$       ბ)  $55^\circ$       გ)  $70^\circ$       დ)  $35^\circ$
5.  $\sqrt[3]{2x^2 - 5} = 3$  განტოლების ფესვებია: **1 ქულა**



ა)  $\sqrt{7}$  და  $-\sqrt{7}$

ბ) 4 და -4

გ) 2 და -2

დ)  $\sqrt{14}$  და  $-\sqrt{14}$

**NN 6-10 დავალეების ამოხსნები ჩანერე გამოტოვებულ ადგილზე:**

6.  $ABCD$  პარალელოგრამის  $A$  მახვილი კუთხის ბისექტრისამ მისი დიდი  $BC$  გვერდი გაყო 12სმ და 5სმ სიგრძის მონაკვეთებად  $B$  წვეროს მხრიდან. იპოვეთ პარალელოგრამის პერიმეტრი.

**2 ქულა**

7. ოქროსა და სპილენძის შენაღობში სპილენძის მასა 2,4 კგ-ით მეტია ოქროს მასაზე; ოქროსა და სპილენძის მასების შეფარდებაა 2:5. იპოვეთ ოქროს მასა ამ შენაღობში.

**2 ქულა**



8. მართკუთხა სამკუთხედის ერთ-ერთი მახვილი კუთხე  $20^{\circ}$ -ია. იპოვე კუთხე მართი კუთხის წვეროდან გავლებულ სიმაღლესა და მედიანას შორის.

2 ქულა

9.  $-\frac{2}{3} \cdot 1\frac{1}{8} + (-0,8) : \frac{2}{10} =$

2 ქულა

10. ტოლფერდა ტრაპეციის მახვილი კუთხეები  $45^{\circ}$ -ია, მცირე ფუძე 12სმ-ია, სიმაღლე - 8სმ. იპოვეთ ტრაპეციის შუახაზის სიგრძე.

2 ქულა